ქართველ ლეგენდიერ

„ხელახლა წაიკითხეგა,
ხელახლა - სუყველაფერი!..“

რედაქტორი:
მანანა ჩაგელიშვილი

კორექტურა:
მაყვალა ჯაფარიძე, ხათუნა ღუღუნიშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია

საიუბილეო ალბომი გამოიცა
ონის მუნიციპალიტეტის მერიის
და საკრებულოს
ერთობლივი პროექტის ფარგლებში

ალბომში გამოყენებულია სოციალურ ქსელებში განთავსებული სხვადასხვა პერიოდის ფოტომასალა, რამაც ვფიქრობთ, ჩვენს საიუბილეო ალბომს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა. მადლობას ვუხდით ყველა ავტორს და ვწუხვართ, რომ მიუხედავად მცდელობისა, მათ შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

დაიბეჭდა შპს „სეზანში“

© 2022, ონის მუნიციპალიტეტის მერია
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ISBN 978-9941-8-4912-1

დიდი ქართველი პოეტისა და მამულიშვილის, ბატონ მურმან ლებანიძის უკვდავი პოეზიის თაყვანისმცემლებს!

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ პოეტის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით 2022 წელი მურმან ლებანიძის წლად გამოაცხადა.

წინამდებარე საიუბილეო ალბომი ეძღვნება დიდ პოეტს, დიდ ქართველსა და დიდ რაჭველს, მურმან ლებანიძეს, რაჭის მიმართ გამოხატული იმ დიდი სიყვარულისა და ერთგულებისთვის, რომელსაც ალბომში წარმოდგენილი თითოეული მარგალიტი ავლენს.

ეს ალბომი მურმან ლებანიძის მიმართ უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად გამოვეცით. რადგან, ჩვენი ვალია, მომავალ თაობებს გავაცნოთ ის სულიერი განძი, რომელიც ჩვენი ულამაზესი კუთხის წიაღში შეიქმნა, მას ეძღვნება და ეკუთვნის თითოეულ ქართველს, როგორც სამშობლოს ერთგულების, სიყვარულისა და თავშეწირვის სიმბოლო!

მაშ, ასე: „ხელახლა წაიკითხება, ხელახლა – სუყველაფერი!..“

უღრმესი პატივისცემითა და მოწიწებით,
ონის მუნიციპალიტეტის მერია
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გერგები პაპად,
        პაპის პაპად გერგები, ალბათ,
ვარ ღამეში და
        ასი ჩელი გაირბენს სწრაფად;
არათუ ხორცი,
        ძვალიც ჩემი როცა დამიწდეს,
კავკასიონის
        მწვერვალები როცა ავერცხლდეს,
„თენდება, პაპავ!“...
        ჩამომძახო, არ დაგავიწყდეს!

ფრთადაწყობილი, ფრთაჭრელი,
სორს ქვემოთ ქვემო რაჭაა;
მე თვითონ ზემორაჭველი
გეტყვი: – ისაა რაცაა!

ვაზი ვაზს გადაჰკონია,
იქ – სხვავაა და კრიხია,
იქ, წესთან, ბარაკონია,
იქ – კვიტაშვილის ციხეა.

იქ – პური ცხვია თონეზე;
იქ – ხვანჭკარაა პაწია,
ვინც ჩვენ მსოფლიო დონეზე
სალაპარაკოდ გვაქცია.

იქ – ნიკორწმინდა მღერის ცად,
სხვა კოშკი – სხვა ნაპირზეა...
იქ – ქვემო რაჭის ერისთვად
ავთანდილ შარაბიძეა.

რიონს აღმა მივუყვები,
ჩემსას ვზვერავ ზემო რაჭას;
რა ხეობა – ჭიუხები!
რა სამოთხე! ხალხი არ ჩანს!
– მოიწყინე, მურმან, რაზე?
გვიქადიან აღმავლობას!
ხვალ – ზეგ ვერ და, ზეგის-მაზეგ
შენც ხომ ამბობ ხალხმრავლობას?!
– კი, ბატონო, მყობადს ველი!
დე, მტრის თვალი შურით ენთოს!
კი, ბატონო! შენი მტერი,
ჩვენი მტერი უიმედოდ!
ვინ ისურვებს დაქცევას და
ზვარს ვინ აქცევს საბალახედ?!
ქვას ვინ ესვრის ამ სევას და
ქვას ვინ ესვრის ამ ფარახეთს?!
მარჯვნივ მრავალძალი მოფრენს,
პირტიტველას ვმოძღვრავ შოფერს:
– არ გაბრიყვდე! სულ ძუნძულით
მოაშურებს ხალხი სოფელს!
ხალხის ნიჯი, სანატრელო,
ხალხის ჯიში მაიმედებს,

ვინ, რომელი საქართველო
ჩვენს ხეობებს გაიმეტებს?!
შეხე, საკალმახე დელტას!
აქ ხეორი რიონს ერთვის.
იქ რომ კაცი ყამირს ბელტავს,
სამოსახლო მოჩანს ჩემთვის!
როგორც ქოჩაკიძეს უთქვამს.
(ტკბილ ლექსში აქვს გამოთქმული).
მანდ თუ ფაცხა არ განახო
მთა – კორტოხზე წამოდგმული,
მაშინ – ლებანიძე მოკვდეს!
მაშინ მისი ხელი გახმეს!
შეხე, რა მდინარე მოხტის!
შეხე, რა ხეობას ახმევს!..
ჯერ კი აღმა მივუყვები,
ჩემსას ვზვერავ ზემო რაჭას:
რა ხეობა-ჭიუხები!
რა სამოთხე! ხალხი არ ჩანს!

უყურძნო მთის რაჭა მესამე რაჭაა.
ენკენისთვეა და ჩამოთოვს საცაა,

აქეთ – უწერაა, იქ კიდევ – შოვია.
შოდაზე კიდევაც ჩამოუთოვია.

მამაღმერთს სილამაზე პირქუშად ჰყვარებია:
ლამაზი ხარო და – მთისრაჭა... ღარიბია.

ქერზე და კარტოფილზე გადივლის იოლად
გლოლა და საგლოვლო, ღები და ჭიორა.

მაგრამ აქ სიცისფრეა, სხვა მზეა, სხვა ცაა –
მესამე რაჭაა, მესამე რაჭაა.

ჭრილობა გაუგრილეს რკინით დაშანთული,
აქ პოეტს – ფარაონს გაუწყვეს ფანჩატური.

აქ „ნიკორწმინდისას“ პეონებს კიბავდა
გალაკტიონი და აბრეშუმს თიბავდა...

კი! ჩემი სამშობლო – ულამაზესია!
კი! ჩემი მდინარე – ურა ფაზისია!

კი! ჩემი სატკივარი – ჩემი ხეობაა!
კი! ქვეყნის დღეობა – ჩემი დღეობაა!
კი! სარწმუნოება – ჩემი მხნეობაა!

ნაწნავები გაუშლიათ ქარში კარიწყალას ძეწნებს

ნაწნავები გაუშლიათ
ქარში კარიწყალას ძეწნებს.
ქარავნები დაუწყვიათ
ინდოეთისაკენ მერცხლებს.
„რა არ გადახდებათ გზაში
საწყლებს“, – დედა მეუბნება
რაღაც გულდაწყვეტის მსგავსი
მამღვრევს, სევდა მეუფლება
ზუსტად ხრიხონისის თავზე –
ეგ ნიშანი გახლავს ზამთრის –
მზე ამოდის უკვე ცხრაზე,
სუსტია და ხუთზე ჩადის.
ღრუბლის გაჩეჩქვილა ტვინი,
სცრის თუ წვიმა გვასხამს კოკით,
მოჩანს გაწეწილი ზვინი
ფერმის ყბაწისქვილა ძროხით
ზვრები – ძირზე აჭრილია,
რთვლობა – უკაცრავად ნურას!
ნიავ-ქარი ფრთაჭრელია,
მინებს ღამეები მურავს...
კაცი მომცა, – ღონდებოდეს,
ქვეყნის სატკივარი სჭირდეს,
ჭიქა მიეწოდებოდეს,
დალაპარაკება ღირდეს!!!

ძველი პალატი
ნესტით, შამბით, აბლაბუდებით...

ძველი პალატი
ნესტით, შამბით, აბლაბუდებით...
(– არ დავბრუნდებით!
– არ დავბრუნდებით!..).
ორმოცდაორი
ლებანიძე უჯდა აქ სუფრას;
ფხალს ჰკეპდნენ ვახშმად,
ღვინოს სვამდნენ, წყალსავით სუფთას.
პატრიარქალურს
მე ვიგონებ მშობლიურ ოჯახს.
(კავკასიონის
კრეისერი კვლავ სარკმლით მოჩანს).
ვაზს სხლავდნენ ძველშავს,
ჩამოჰქონდათ თივები შორით,
იკვებებოდნენ
ღომით, მჭადით, შაშხით და ლორით.
ძველი პალატი
ნესტით, შამბით, აბლაბუდებით...
(– არ დავბრუნდებით!
– არ დავბრუნდებით!..).

ძველი ქართული ანდაზა იტყვის: „სოფელი დიდია“

ძველი ქართული ანდაზა
	იტყვის: „სოფელი დიდია!“
რამ გაადიდა, ანდა სად?
	სოფელს ბოქლომი ჰკიდია!

რაჭა-ლეჩხუმი მშობელი
	გაცლილა, გათხელებულა,
ტყეს გადუვლია სოფელი,
	სოფელი – გატყევებულა.

ვზივარ ჭვარტლიან ბუხართან,
	სცრის ნოემბერი მტირალა.
გამახსენდება წვიმაში
	ბაბუაჩემი ფირანა.

სიტყვა იცოდა ჯიბრით,
	იტყოდა მხოლოდ მთავარზე:
„აქიდანა და ჭიბრევს
	თხა გევიდოდა ყავარზე!..“
სარკმელში მთათა გრეხილი,
	ყავარზე წვიმა არ ცხრება,
შებერებულა ხეხილი,
	მოლურჯო პური არ ცხვება,

კახაბლებს აღარ ამყნობენ,
აღარ თესენ და არ ხნავენ,
ქორწილზე არას ამბობენ,
მარხვით ჯერ კიდევ მარხავენ...

მე უნდა გავხდე გოროზი,
არ წავიქცე და არ წავხდე –
ლებანიქედის ბოლოში
გიჟივით მარტო დავსახლდე!

უძვირფასესი იყო ზაფხული

უძვირფასესი იყო ზაფხული, –
ვარ კორდზე თქვენით დასახლებული;
რა მოსავალი იყო ზღაპრული –
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო...
ჩასაფრებული!

რა არის ლექსი, თუ არა გრძნობა,
გრძნობა ასჩილად გამძაფრებული!
იყო მარტივი სოფლური ყოფა –
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო...
ჩასაფრებული!

ჩამომითოვა სამშობლო მთები,
დავკეტე ქოხი – დამრჩა კრებული.
რას ნიშნავს ფრთები! რას ნიშნავს ფრთები!
ყოველ ნაბიჯზე
ლექსი იყო...
ჩასაფრებული!

კატიჩვერა! ბუბა! შოდა – კედელა!

კატიჩვერა! ბუბა! შოდა – კედელა!
ყრუ ხეობა – ქალაქებს ვემალები...
მიყვარს სანდო, მიყვარს სათნო, კეთილი,
თავმდაბალი,
რიგითი მჩვერვალები!

თავმდაბლობას სიბრძნე უდევს სარჩულად, –
(დიდს დიოგენს სცმიაო ძველმანები...), –
მიყვარს ბუბა! მიყვარს ბრძნულად, რაჭულად
თავმდაბალი,
რიგითი მჩვერვალები!

არა მძლავრი, არა ამბიციური, –
თვალს რომ გთხრიან ზვიადი ელვარებით, –
მიყვარს სათნო, მიყვარს სახით მზიური,
თავმდაბალი,
რიგითი მჩვერვალები!

ხრიხონისსა და ქრისტესს შუა

ხრიხონისსა და
ქრისტესს შუა, სხიერის მთებში,
ამოდის თითბირის
თუ სპილენძის ციური თეფში...

მდინარესავით
ჩხრიალებს და თავზე გადაგდის
წვრილი ვარსკვლავით
მოჭედილი ღამე მკათათვის...

აღარც – ვის იწვევ,
აღარც ვინმე შენ გიწვევს ხმალში –
ზიხარ ჯორკოზე,
მოწყენილი ხეობის ყბაში...

გამოჰქცევიხარ
ქვეყნურ ხმაურს და ქვეყნის ყაყანს,
ხვალ იმედოვნებ
უხორცობით ცხოვრებას ახალს.

რას, რას გვაგონებენ ჯუჯა წისქვილები!

მოხუცს,
რომელიც საბოსტნეს ღობავს,
დიაცს,
რაჯულად თუ ვიტყვით – დღობავს,
ურემს,
რომელსაც უცვლიან ბორბალს,
სიმინდს,
ქერისპურს, მჭადსა და ხორბალს,
ღუდღუდს
ბუხრისას –
მჭადისას
ცხობას –
პატრიარქალურს, გარდასულ ყოფას...

საძვალე გორმახზე წარსულის ძვლებია,
ქორთას
ვარსკვლავები
გადმოდგნენ
მსხვილ-მსხვილები;
ღამეულ ტირიფებში დგანან და ლპებიან
ჯუჯა
წისქვილები.



რიყეში გდია...

რიყეში გდია
	დაღვლარჭნილი ბებერი ფესვი –
(მუხა მაგ ფესვზე ამოსული
	სწვდებოდა ზეცას...)
უბურღავს მიწა,
	უცხოვრია საბრალოს ბნელში;
შეხედე, რას ჰგავს,
	რა მოსვლია წლებისგან ბეჩავს!

დაგონჯებულა,
	დაღრეკილა, – ხეორის ხევში
ხტი ქვიდან ქვაზე,
	შავს, საბუხრეს აგროვებ შეშას...
რიყეში გდია
	დაგრეხილი ბებერი ფესვი –
ხვედრს გაგონებს
	ეგ ფესვი შენსას.

გული ამინდის მოლოდინს ითმენს

გული ამინდის მოლოდინს ითმენს,
სასაყვედუროს ვინ გკადრებს რამეს!
თოვს ხეობაში ოქტომბრის ჩვიდმეტს,
თოვს ხეობაში ოქტომბრის თვრამეტს;
შევგუებივარ ზაფხულში ზამთარს,
ყაბულს ვარ შენსას ყოველგვარ ამინდს;
მე ვენაცვალე შენს დარს და ავდარს,
შენს ჭყაპს და ტალახს,
შენს დღეს და ღამეს!

ჭიორის ჭალას ფაზისი ჩქეფს

ჭიორის ჭალას ფაზისი ჩქეფს
ჭიორის მთვარე მოარღვევს ტატნობს;
სძინავს ჭიორას და სძინავს ღებს
და მხოლოდ ყურშას არ სძინავს ამ დროს –
მთელ ღამეს ჰყეფს, მთელ ღამეს ჰყეფს,
ყურშას წესია, აამოს პატრონს...
პოეტი უღრენს სამშობლოს მთებს –
პოეტი ათას გარეწარს აფრთხობს.

ჩიბუხში ჩასადები ღრუბელი არ ჩანდა

„ასეთი გვალვები არ ახსოვს რაჭასო!“ –
გლეხს წამოეწია სხვა გლეხი ჯორცხენით;
„ჩიბუხში ჩასადები ღრუბელი არ ჩანსო!“ –
მიუგო ჯოროსანს ქვეითმა მოწყენით.

იყო საუბარი როგორც სამძიმარი,
აგვისტო ვენახს და იონჯას ხარშავდა,
არათუ საწვიმარი, არათუ საწვიმარი,
ჩიბუხში ჩასადები ღრუბელი არ ჩანდა.

მაგრამ მე, საკუთარ ფიქრებში გადასროლილს,
გვალვა და აგვისტო არ მქონდა საწუხარი,
მქონდა სიხარული (მოგებაც სხვათაშორის!) –
გლეხისგან სტრიქონი მქონდა ნაჩუქარი.

ვთქვი: ლებანიძეა ეს გლეხი – ბესია!
ვთქვი: ამ დალოცვილ და კურთხეულ მთა – ველად
რამდენი ჰომერია, რამდენი ბერნსია
და კიდევ – რამდენი ვაჟაა ფშაველა!

ვთქვი: რაჭას კი არა, წელს ქართლშიც ხვატია
და მაინც ხომ ვცხოვრობთ
მტრის თვალის დაყენებით,



ღვთის ხელი ურევია ჩვენს ნიჭში, ცხადია –
გლეხკაცი აზროვნებს პოეტის სახეებით!

ვთქვი კიდევ:
სირცხვილი, სირცხვილი ხურდა მწერალს!
ამ ხალხის სახლსა და ამ ხალხის მამულში
ვინ მოგცა, მურმანო, უფლება ცუდად წერის?!
ცუდად წერ რა პირით და სინდის – ნამუსით?!

იყო პოეზიის მინდვრები გასათიბი,
ცა იყო კრიალა, მზე მინდვრებს ფარჩავდა...
ჩიბუხში ჩასადები, ჩიბუხში ჩასადები,
ჩიბუხში ჩასადები ღრუბელი არ ჩანდა!

იცოცხლე, მე ვიღორძინო

იცოცხლე, მე ვიღორძინო
იცოცხლე, ვიქცე ბალღად,
იცოცხლე, მე მოგილხინო,
თუ შენ მეყოლე კარგად –
ვაზო,
კორტოხო,
კრამიტო,
ჭადარო,
მზეო,
ცავ,
კაცსავით გადღეგრძელებ,
შენს
სადღეგრძელოს ვსვამ...

იყავი –
მეტი რა გინდა,
შენ
საქართველო ხარ!

გერმანე გოგეჯიშვილის ხსოვნას

ერთი მრწამსით, ერთი რწმენით,
შენ, ვინც ჩვენი საძმო შეჰკარ,
გულზე დაკრეფილი ხელით
სამუდამო ნავში წევხარ.

ჟღერს ჰიმნები უძველესი –
დაქცეულხარ, საძმო სახლო!
თვალზე ცრემლით უწრფელესით
მწადს, შენს მარჯვენს ტუჩი ვახლო.

წვიმა სამარხ ბექობს ლესავს,
წვიმს და წევხარ საყვარელი.
მეგობარი მეგობრისას
აწ შეძენას აღარ ველი.

აწ სამთაგან ორნი დავრჩით
და შენს ტაბლას ვხევისბერობთ,
რათა მოგონების ფარჩით
ახალუხი შეგიკეროთ.

ეეშინია!

ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელა ეს პარტახი საიგავო,
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!

შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!
ვაითუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,
ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!

ეს სხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი
არ ჩააქრო, არ ჩააქრო! – გაფიცებდი,
არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი! –
დამიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი,
დამიხსომე, განჯღრევდი და გაღვიძებდი!

ბაცეგიც არსად ყიყინებდნენ

ბატებიც არსად ყიყინებდნენ
სოფელში დღესდღეობით,
ცაცხვები მაინც ღიღინებდნენ
ფუტკრების მეშვეობით.

რა აბიბინებდა, ღმერთო ჩემო,
ცაცხვსა და ურთხმელს?!
რა აღიღინებდათ, ღმერთო ჩემო,
უგუნურ ფუტკრებს?!

ზვარეთის თემში დარი იყო –
უცხო რამ სანახავი...
სოფელი მთებში მკვდარი იყო –
არ ჩანდა დამმარხავი!

ეგ - არაფერი

ეგ – არაფერი,
ჩემო ქრისტო, ჩემო ღალაკო,
ჩემო ფირანა,
წინაპარო და ამხანაგო,
ჩემო სილოვან,
უწინ გლეხო, მერმე დალაქო,
ეგ – არაფერი,
რომ გლეხკაცმა გაიქალაქოს,
ჭიბრევის გზაზე
რომ ტალახი ისევ ტალახობს,
რომ ძველ ვენახში,
ჩვენს ვენახში ხარი ბალახობს!..

ეგ – არაფერი,
ჩემო სეფე და ჩემო რაჟდენ,
ჩემო ღინტორა,
რომ ფარახეთს მიწები გაცდენ,
ჩემო ოქრუა,
რომ კვაშხიეთს ბუხრები დაშტენ,
რომ ჟანგიანი
ბოქლომები ჭიშკარზე გაჩდენ,
ეგ – არაფერი,
რომ ჩვენები, ძველები გაწყდენ,
ხოლო ახლები

მახრჩობელა დახლებში დასხდენ!..
თქვენ ეს მითხარით,
ეს მითხარით, რა ვართ, რა რჯული?!
გარდა იმისა,
რომ დავკარგეთ თავად წარსული,
რომ ახმა ვაზი,
ჩაქრა კერა მრავალტანჯული,
რომ მუცლის ქონით
დღეს სამოსი გვაქვს აჩაჩული,
რომ უბე – ჯიბე
ხელის ჭუჭყით გვაქვს დაჯარჯული,
პატიოსნებაც
ხომ არ წახდა
ჩვენი, რაჭული?!

მოწყენილ სოფლებს –
აღარც სტვირი, აღარც ფანდური!
გაპარტახება,
მყუდროება მზარავს საყდრული!
არც ვაზის მყნობა,
არც შენება მაღალმხატვრული!
არც ქალის წკვრელა,
არც ყიჟინა ახალგაზრდული!
აღარც „ქვედრულა“
და ფერხული მრავალსართული!
აღარც მომსვლელი
და, პასუხად,
აღარც დამხვდური!
ქალამნის ჭვინტში
აბრეშუმის ბალახით – თომით,
საქართველოსთვის
საიმედო (ფუძეზე დგომით!!!)
მტერზე მიმსვლელი

გულუბრყვილო დევკაცის წყრომით,
სხვა დროს გართული
თავის ვაზით, ხორბლით და ღომით,
აქ ნაშენობდა,
აქ მრავლობდა, განთქმული შრომით,
ჩვენი ბრძენი და
თავმდაბალი
ქართული ტომი!..

კი, კი, ბატონო,
რომ არ ადგა მთის კაცს საშველი,
კი გადიოდა
საშოვარზე ძველი რაჭველი,
მაგრამ ნაშოვრის
კურთხეული მისი მარჯვენით
კვლავ რაჭაში და
კვლავ რაჭისთვის იყო მხარჯველი
და, სადაც იყო,
თან დასდევდა ფიქრი მტანჯველი
და თვალწინ ედგა
უტკბილესი
მიწის ნაჭერი:

„პორტ-არტურში ვართაო,
ცხენის ხორცსა ვჭამთაო,
ქვე, გზის ფული თუ ვიშოვნეთ,
მალე ჩამოვალთაო“...
ან:
„დამისხი, დამალევიე,
ჭკუას მოვალ, გონებასაო -
რაჭას წასვლა მირჩევნია
მილიონის ქონებასაო!..“

რევაზ ნოდარიშვილს

მიყვარს მთებშორის გრძელი ჭალაკი,
გამახსენდება ხშირად
ძველი ქალაქი, ჩვენი ქალაქი
ლურჯი ფაზისის პირად –

ბუდე რაჭული სიდარბაისლის,
თავჩაღებული შრომის,
ქალაქი, სადაც ჩვენი ხმა ისმის,
ჩვენი გვარის და ტომის.

დიდი სატახტო ეგ არ ბრძანდება,
არ იხსენება გმირად
ქალაქი – ერთიხელისდადება
ლურჯი რიონის პირად.

სიპატარავეს ქალაქი ნაღვლობს,
სახელი მისი – ონი !
აქ ისრაელიც ძველთაგან სახლობს –
ჩვენ არ გვემდურის, მგონი!

ვერც სომეხს ვატყობ მე აქ სომხობას,
რაჭულად უქცევს „ქვეთი“,
ჯიში არ საზღვრავს აქ მტერ-მოყვრობას,
აქ სითბო – უცხოს მეტი!

კავკასის ძირში ძველი ქალაქით
როგორც ვიდექით, ვდგავართ;
მანდ ჩვენი ძმა ხარ და ამხანაგი
ტურფა ქალაქის თავად.

სატახტოების ხმაურით დაღლილს
მომესიზმრება ხშირად
შენი პატარა მხატვრული სახლი
ლურჯი ფაზისის პირად.

მადლობა შენსას ტაბლას და ხონჩას,
სიტყვას – დაღლილის მკურნალს!
შენს პატიოსან ცოლ-შვილს და ოჯახს,
შენს კაცურ ფხას და უნარს!

ზაფხულით ცხელით, ზამთარით მკაცრით,
ძმებთან შეხვედრის ლხენით,
ორიოდ კაცით, ორიოდ კაცით
და, რა თქმა უნდა, შენით

მიყვარს მთებშორის ჭრელი ჭალაკი,
გამახსენდება ხშირად
ძველი ქალაქი, ჩვენი ქალაქი
ლურჯი რიონის პირად.



დაძინებამდის მე უნდა ვნახო

დაძინებამდის მე უნდა ვნახო
და ჩავიყოლო სიზმარშიც თანა:
მთებში გაჭრილი პატარა ახო,
ტყეში გაშლილი პატარა ყანა...

სინათლეს ვაქრობ – ქრისტესის ახლო
ბალამჭარები ტყისპირას დგანან,
მთებში გაჭრილა პატარა ახო,
ტყეში გაშლილა პატარა ყანა...

ოჰ, გმადლობ, ჩემი სიზმრების ბაღო,
ჩემი ბავშვობის უტკბესო ხანავ –
მთებში გაჭრილო პატარა ახოვ!
ტყეში გაშლილო პატარა ყანავ!

სეჭსეგგერი

მიხვალ მაჩაბლის ქუჩით
        და მოგონებით კრთები:
ათასნაირი ლურჯით
        წელს მთებს საზღვრავდნენ მთები.

ცას შესდგომოდნენ კიბედ,
        ღვარებს ჰგზავნიდნენ სტვენით,
ჭრელი თივები ვთიბეთ,
        თივით ფერმები ვტენეთ.

დარჩა აგვისტო უკან –
        თივებს ვიგონებ ალპურს.
წვრილი წვიმები სწუხან
        აწ განსვენებულ ზაფხულს.

რაჭას, ზემოს და ქვემოს,
        თქვენ გაგიმარჯოთ, მთებო –
მასწავლებლებო ჩემო,
        ჩემო უფროსო ძმებო!!!

ხიმშო, ხიმშო, ხიმშო, რა ხარ!

ხიმშო, ხიმშო, ხიმშო, რა ხარ!
        მას არ გეტყვი, რაც არა ხარ:
ტკბილით სავსე ტიკჭორა ხარ,
        ქვემო რაჭას ჩანჩკარა ხარ,
პაჩაჩინა სოფელი ხარ,
        მთის რაჭისკენ ფანჯარა ხარ,
შქმერს, მრავალძალს მოჰფენიხარ,
        სხვის ქვევრებში კვარჩხალა ხარ;
ნაჭერ-ნაჭერ ნაყიდი ხარ,
        სავენახე მასალა ხარ;
უშოლთისთვის კახეთი ხარ,
        მაგრამ ცოტა პატარა ხარ;
მეტისმეტი რომ არ გითხრა,
        ის არ გითხრა, რაც არა ხარ,
კაი რითმამ მომაკითხა:
        მთის რაჭისთვის ხვანჭკარა ხარ!

შორს წვრილ-წვრილი, მჭვრინავი ვარსკვლავები

შორს
წვრილ-წვრილი, მჭვრინავი ვარსკვლავები,
ახლოს – ბევრად მსხვილები,
და ქრისტესის თავზე, სხვისგან განსხვავებით,
ის ვარსკვლავი –
            წახრილი და ირიბი...

უეცარი გაღვიძება ღამით!
ვინ გაღვიძებს, შენი მკვლელი ვინ არის?!
მოწამლული წუთისოფლის შხამით
სული ზომავს
            მარადიულ მდინარეს.

ცად ჭვრინავენ ვეება ჭრიჭინები,
მელნისფერი ბზუის ღამე მკათათვის –
მოკენჭილი წითელი ღინჭილებით
დის მდინარე
            და ხეობებს გადადის.

შენს პაწია ხეობაში ბნელა,
მარტო შენი სიგარეტი ღვივის,
ხარ წერტილი და ხარ ჭიანჭველა,
იტანს გული
            დამცირების ტკივილს.

ჯვარს ეცვი თუ მღერდი ჰარი-ჰარალეს,
იტანჯე თუ იცხოვრე ნეტარებით,
არაფერი, არაფერი არ არის
მარადიულ
            მდინარესთან შედარებით!

ბოღჩებით და ყავარჯნებით

ბოღჩებით და ყავარჯნებით
        გრძელი სოფლის კართან ვდგავართ;
მოკლე სოფელს არ დავრჩებით,
        ყველა გრძელ სოფელში წავალთ!

კეისარიც, სპარსალარიც,
        თვითონ რომის პაპიც თავად
(სხვა სოფელი არსად არი!)
        ყველა გრძელ სოფელში წავალთ!

ამ ტალახებს გავშორდებით,
        ამ ორღობეს ლაფში ვყავართ...
მადლობა ღმერთს, გავსწორდებით,
        ყველა – გრძელ სოფელში წავალთ!

აჩალული სიმინდებით, გაკრეფილი ვაზებით

აჩალული სიმინდებით,
	გაკრეფილი ვაზებით,
უკეთესის იმედებით,
	უარესის გაძლებით
დიან ჩემი დღეები.

დავაგროვე ასიოდე
	ლექსი სისხლის გაშრობით.
მაინც ვაინაჩრობით,
	ყოყმანით და ლაჩრობით
დიან ჩემი დღეები.

გაძარცული სიმინდებით,
	გაკრეფილი ვაზებით,
უკეთესის იმედებით,
	უარესის გაძლებით
დიან ჩემი დღეები.

სადაც შეხვედი, ღვინოს გაწვდიან

სადაც შეხვედი, ღვინოს გაწვდიან,
        დღეა ჭირის თუ ლხინის;
თუმნის გადახდას შენ არ გაცდიან –
        გული მადლობას ყვირის.

შენ კარგად იცი, ვინც ხარ და რაც ხარ,
        ანუ რატომ და რისთვის,
რუსთველის პატრონი ერთ პოეტს, საწყალს,
        ჭიქას გივსებს და გიწვდის.

ოჰ, საქართველოვ, ჩარგლის, ყვარელის,
        ჭყვიშის, სხვიტორის ტკბილის,
ჭირიმე შენი პურის, მარილის,
        შენგან მოწვდილი ღვინის!

ორმოცდაათის მერე ვატყობ, ადვილად ვთვრები

ორმოცდაათის მერე
ვატყობ, ადვილად ვთვრები,
ვწუხვარ, გულს ვეღარ მტკენენ
ჩემი პატარა მტრები.

ხომ ისევ იმას ჩერენ,
ვლიან იმავე გზებით, –
ორმოცდაათის მერე
შემწყნარებელი ვხდები.

დრო ჰქრის როგორღაც სწრაფად,
ვატყობ, დამოკლდნენ წლები...
ეს სიბერეა, ალბათ!
ვხვდები, ძამიკო, ვხვდები!

უქუდო ღებელს ქუდიანი გლოველი შეხვდა

უქუდო ღებელს
ქუდიანი გლოველი შეხვდა,
თოვდა, ყინავდა,
ის უქუდო წიფელას ჩეხდა;
გადაეკიდა
ქუდიანი: „ამ ზამთარშიო
ასე უშეშოდ,
თან უქუდოდ რაფრად დარჩიო?!“
უქუდომ უთხრა:
რა მაქვს ღმერთთან სამდურავიო,
ცარიელ საბძელს
რად სჭირია სახურავიო?!“
მკითხველო ჩემო,
ჩააკვირდი ორწვერს და ორკაპს –
ხუმრობა ესე, ორმხრივ მჭრელი,
ორლესულს მოჰგავს;
მახვილი სიტყვა,
ელვარებით გლეხკაცურ ხანჯლის,
ვითომც უქუდოს,
მაგრამ იქვე ქუდიანს დასჭრის...
ასე ხუმრობენ
გულუბრყვილო ჩვენს რაჭულ მთებში –
ყრუ ხეობებში –
ჭიორაში, გლოლაში, ღებში!





ჰოიდა, ზამთარო, ზამთარო

ჰოიდა, ზამთარო, ზამთარო,
ღებს და ჭიორას აფთარო,
რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი,
წამხდარო!
ჰოიდა, ბუხარო, ბუხარო,
ხან ზამთრის ჯიბრზე მქუხარო,
ხან – წყნარად მოლაპარაკევ,
ხანაც – ჩემსავით მწუხარო!

ლეჩხუმში მუხას დაეცა, რაჭისკენ მიიგრიხება

ლეჩხუმში მუხას დაეცა, რაჭისკენ მიიგრიხება –
იელვა, წვიმა გავარდა, ახლა ცის კარი იღება.
დაბლა ჩამოდის ლაჟვარდი იისფრად ჩამობინდული,
ეს აპრილია თუ ჩემი ფიქრია გამოკვირტული...
აგერა, თეთრი ტყემალი კლდისთავზე გადმოკიდული!
...ღოღნაშოს ნეშო უყრია, ყაყაჩო გოგავს ბალახში,
მიშველეთ, სუნმა ჭინჭრისამ მომაგნო თბილის – ქალაქში!
მიშველეთ, ჩამომეწყრილო წითელმიწავ და აყალოვ,
ჩემო პატარა ხეორო, რიონის ერთო მაყარო!..
დიდი თბილისი არ მიშვებს, თორემ მომშივდა ბალახი,
ეხ, ნეტავ მომაზელინა ზვარეთის თემის ტალახი!

სირცხვილი ჩვენი! – აღარც „რაშოვრა“

სირცხვილი ჩვენი! – აღარც „რაშოვრა“,
აღარც „ქვედრულა“ მწველი, მდაღველი!
მომარბენინეთ ყურძნის საშოვრად,
მომამათხოვრეთ მთელი თაკვერი!

მე მოვიტანე ყურძენი ტონა,
სახლიკაცები შევერთდით ძმურად,
გავყავით ტოლად, გავყავით სწორად
და უსინდისოდ სხვის ყურძენს ვწურავთ.

გააქვს ჩხრიალი ძველი ხაპიდან
ლეჩხუმურ ყურძენს, რაჭაში ნაწურს.
ძველი დიდება ჩვენი გაფრინდა,
ჩრდილი მოადგა ხეობებს რაჭულს.

სირცხვილი – ჩვენგნით არგასამხელი!
სირცხვილი – ჩვენი დამამხობელი!
აღარც ვენახი! აღარც ნამყენი!
აღარც მყნობელი! აღარც სოფელი!

აქ სახელები მახსოვს კაცების –
ოლონგრიალა და აზამბურა...
არ მაქვს მიზეზი მე აღტაცების,
დღეს ისევ მოჩანს ხალხი ჭამპურა.

ეს თავმჯდომარე მიყურებს ელმად,
არც ხნავს და არც სხლავს,
არც რამე მოჰყავს,
შვიდი სოფელი გვიქცია ფერმად –
დააკინკილებს ასიოდ ძროხას.

ამ ჩემი ბრძოლით, ამ ჩხუბით, დავით,
ამ ჩემი სოფლით, ამ ჩემი მთებით
მე მოვაძულე ქვეყანას თავი
და დავიღალე ამდენი ყეფით.

მაგრამ მე ვიცი, რომ მზე ცხრათვალა
ამ ყრუ ხეობის დადგება თავზე,
ჩემს წიგნს ჩახვდება ბავშვიც პატარა,
მოვა ქართველი და იტყვის ასე:

– ვისი ლეჩხუმი და რისი რაჭა!
რისი სვანურ-და-ჭანურ-მეგრული!
მას საქართველოს ოცნება დარჩა –
უხვის, ძლიერის, მუშტად შეკრულის...

ამას რომ წერდა, ზამთარი იყო,
ავდარი იყო სითბორეული,
მთაში ამინდი წამხდარი იყო –
მართალი იყო, მართალი იყო,
მართალი იყო
ის ცხონებული!

სოფლის სურათი

გაიტენება ხეობა ნისლით,
ეს სექტემბერი უდღეღამოა –
თანაბრად ბნელა ღამით თუ დღისით –
აღარ გგონია თუ მზე გამოვა.
და, უცბად, ღრუბლის ლაშქარი შავი
გაიძენძება – ცა წითლად ღვივის,
„მზემ ხეობაში შემოყო თავი,
ადექით!“ – შტოზე ჭივჭავი ჭყივის,
მაგრამ ვინ ადგეს – ოთხმოცი ფუთი
თითოს ქვა ადევს! საყდართან ვდგავარ,
მხიარულ ფერებს ოციოდ წუთით
გვაჩუქებს მზე და ხელახლა ჩავა.
და ისევ – ქორთას ნისლი აშლილა,
სცრის და კვაშხიეთს აცომებს ტალახს;
ლებანეურის ჯიში გაცლილა,
გოშაძეებიც წასულან ქალაქს.
წვიმს! აჭენჭყილა ღრუბლის ტვინები,
შორს, მთების შუბლზე ღვივის ზამთარი;
ძლივსგათიბული ლპება ზვინები,
არ ჩანს ფერმაში თივის ჩამტანი.
მოაჩინდრიკებს ცხენ-კაცი ფოსტას,
სანთლით ნაძებნი ქვრივს ხურო მოჰყავს,
ჯოგი მოუძღვის ფერმისკენ კოსტას –

მოწყენით მოსდევს გაბურძგვნილ ძროხას.
სოფლიდან მესმის ყაყანი მწყრალი
(ესეც კარგია, ცხოვრება ფეთქავს!)
მარადიორი გამოდის ქალი,
ნასახლარებზე სხვის ნიგვზებს ბერტყავს,
და მაშინ, ამ ყრუ სინამდვილეში,
რომელიც წყვდიადს გაგონებს უღრანს,
კოლთავმჯდომარის ღრინავს „ვილისი“,
უგზოობას და შეღმართებს უღრენს.
წვიმს, და შიგ სულში გასხამს, გაწვეთებს.
საცაა „ჰესი“ სინათლეს ჩართავს.
წვიმს. თავმჯდომარე ლაშქარგაწყვეტილს,
უთორ – უაბჯროს ჩამოჰგავს სარდალს...
ოჰ, ტკბილო რაჭავ! სორთან – წესია,
წესთან – ფრთათეთრი ბარაკონია,
ბოყვა – ჩრდილშია, ქორთა – მზეშია,
ჩვენი ნახნავი და ნაქონია!
წვიმს. ლოგინს გავთხრი, სხვა რა ღონეა!
წვიმს. სექტემბერი უდღეღამოა...
აღარ მგონია, აღარ მგონია,
აღარ მგონია თუ მზე გამოვა!

ჩაბამბულია გაღმა სოფელი

ჩაბამბულია გაღმა სოფელი
როგორც აკვანში ახალშობილი...

თოვს. კვაშხიეთი ჩემი აქვეა,
გაღმა, დათოვლილს, გეტყვი, რაც ჰქვია.

იდიდოს მაგის კაი სახელი –
მოუკვდეს ქრისტესს ავისმზრახველი!

კი, გივინიკა ჯოხაძის მშობელს
ქრისტესი ჰქვია კლდისთავზე სოფელს.

თოფიან ვლასის მწევარი მისდევს,
ათოვს ხრიხონისს და ათოვს ქრისტესს.

ათოვს კვაშხიეთს და ათოვს ბოყვას
და თოვლს იმხელა ოცნება მოჰყავს,

შენ არც იფიქრო, – რაჭაში ვწერდე,
კვაშხიეთს ვიჯდე და ქრისტესს ვმზერდე –

თოვს აქ, თბილისში, და თოვლი ღესავს
(აქედან ვხედავ!) ხეობას ჩემსას.

იქ, ტურფა სხიერს...

„იქ, ტურფა სხიერს,
ცის მახლობლად, ხეობის თავზე,
კლდე ირღვევაო,
გამოდისო, კლდეში ჭურჭელი...
– მივხედოთ! – მწერ შენ,
იმედით და მხნეობით სავსე,
გვეკარგებაო
ისტორიის
ერთი ფურცელიც!“

„ათამაშებენ
ბიჭუნები ბრინჯაოს ბალთებს,
სხვა ძვირფას ნაშთებს
ნივთიერი კულტურის ჩვენის...
– მივხედოთ! – მწერ შენ,
შეიწუხო ეგ თავი გმართებს!
მიდექ-მოდექო!“
საყვედური
კიდევაც გშვენის.

და მახსენდება
რიკულები, ქოხი, გზისპირი,
წყვილი ნაწნავი,
გაფრენილი ბავშვობის ქარში,
შენ – წიგნით ხელში,
აივანი შენი ცისფერი....
როგორიც იყავ,
ისეთივე ცისფერი დარჩი!

მე რა მოგწერო?
საქართველო დღეის კვერს აცხობს,
გვიდგანან მხარში –
ვერ მოვღობავთ ბოსტანს ჩელტებით;
აინტერესებს
დღეს წარსული ნაკლებად აწმყოს...
ამაზე – მერე,
სხვა დროს იყოს, როცა შევხვდებით!

ეგეც არ იყოს,
სად, სად დავტევთ წარსულის ნაშთებს?
ცულებს და ბალთებს?
„ამხანაგო, – გვეტყვიან, – სცდებით!“
მაგას რომ მივყვეთ,
რა გასწვდება ხეობას ამდენს -
მოფენილია
საქართველო წარსულის ძვლებით!

ასე, ძვირფასო!
ნუ, შენ ჩემზე ნუ იტყვი ლაჩარს!
თვითონ მწერ ცოტას,
ნაჩქარევად წერტილი დასვი!
რა პირი უჩანს,
შენ ეს გეთქვა, ჩვენს აწმყო რაჯას –
თორმეტი ბავშვი
გყავდა შარშან შვიდივე კლასში....

ჰო, მითხრეს, მთაში,
იანვრიდან კოლექტივს შლიან,
სხვას ახალს ჰქმნიან –
დიდს, საბჭოთა მეურნეობას –
ნახარჯებს თვლიან,
ჯაფარიძით ბაქრაძეს ცვლიან –

დაადგებაო
        მზე – ნათელი ჩვენს ყრუ ხეობას.

ღმერთმაც ჰქნას! ოღონდ,
        რა თქმა უნდა, საქმე სჯობს ქადილს!
ხოლო მანამდე,
        ხეორის ხიდს რომ გადაიარ –
მანდ ჩემი სული
        საკალმახე დელტაში დადის –
სული მიხსენე,
        სული, სული, ჩემო დაია!

მეც გავიხსენებ
        ჩვენი სიყრმის უღრუბლო ზეცას,
შენს წმიდა სახეს,
        მზეგარეულ ბავშვობის დარში,
ოღონდაც მიჰყევ
        გულუბრყვილო ოცნებებს შენსას,
როგორიც იყავ,
        ისეთივე
            ცისფერი დარჩი!

მომწერე ისევ
        საყვედურის წერილი, მსგავსი,
მომწერე ისევ
        სასოება შენი გულწრფელი:
„იქ, ტურფა სხიერს,
        ცის მახლობლად, ხეობის თავზე,
კლდე ირღვევაო,
        გამოდისო
            კლდეში ჭურჭელი...“

ჩაეოლიან დათვეკი

წითლდებიან თრიმლები,
ყვითლდებიან ნეშონი,
დგება წვრილი წვიმების
და მოწყენის სეზონი.
ფითრდებიან დღეები,
მწიფდებიან პანტები,
ბოყვას, ბოყო – ტყეებით
ჩამოდიან დათვები.
სოფლისკენ გზაწვრილია
არარსებულ ურმისთვის,
სოფელი დაცლილია
გაბრაზებულ სტუმრისთვის:
„სტუმრად! სტუმრად! დავძღებით
კაცითავა გულაბით!
სტუმრად! სტუმრად! დავსხდებით
ბოყვას ჯალაბ – ჯულაბით!“
ტყე სოფელზე წაბმულა
ჟვერით, შქერით, პარტახით –
ბელს მოუძღვის ჭამპურა
ხვადი ბარკლის თახთახით.
მწიფე ზღმარტლებს არხევენ,
მწიფე პანტებს ბერტყავენ,
ნიგოზს ღრჯოლით ამტვრევენ,
სკდებიან და ხეთქავენ.
ერთი ამბობს: „მომწყინდა
ზღმარტლი – ხორცი მწადიან“.

ჯაფარიძის ბოსტნიდან
მესხებისას ჩადიან.
რის მცველი და რა მცველი,
წვიმს, არც თოფის დამცლელი,
არც ყასიდად დამშლელი
არ ჩანს რაჭას რაჭველი.
სევდა – ნაღველს აბოდებს
ტყე გალუმპულ მწუხრიდან,
თხელი კვამლი ამოდის
ორიოდე ბუხრიდან.
დედაბრები ურდულით
ქოხებს გამოჰკეტავენ,
სარკმლებიდან ქურდულად
გამოხედვას ბედავენ.
სოფლიდან გზა წვრილია
არარსებულ ურმისთვის,
ურემი დაშლილია
წუთისოფლის მდურვისთვის.
სერზე ზვინი ნათიბი
ლპება, გკითხავ, რისაგან?!
ბრუნდებიან დათვები
კვლავ თამარის კლდისაკენ.
შორს ნისლები თქორავენ,
ღლაბუცობენ, გორავენ,
ლბილ ფუჩეჩში სკორავენ,
თან მთელ რაჭას სჭორავენ.
მაგრამ მარტო რაჭაა?
ფშავ-ხევსურეთს სხვა ცაა?
არაფერი შეგეშალოს,
რაჭის დღეში სხვაცაა!..
ფოცხვრებს დაუთოვია,
ზვარეთს მოთოვს საცაა.

შეჩერდი, მოასწარ!

გვიმრები, ძეწნები, ძეძვები ჩახლართული,
გზა უხვევს, ანაზდად შეხედე, საოცრება;
პატარა ხეობაში პატარა ნაკადული
პატარა წისქვილის ლაჯებში გამოძვრება.

შეჩერდი! აქ ჩვენი ბავშვობის ბუდეა!
დგას ჯუჯა წისქვილი, როგორც ჩაფიქრება
არ ვიცი, არ ვიცი, კარგი თუ ცუდია,
დრო რომ დადგება და ეგ რომ არ იქნება!

შეხედე საბრალოს, სალპობად ჰყუდია!
არ ბრუნავს დოლაბი, სიმინდი არ იფქვება,
ვერ გეტყვი, ვერ გეტყვი, კარგი თუ ცუდია
ჩვენ რომ ვიქნებით და ეგ რომ არ იქნება!

მაგის ძველ დიდებას ჭალას ჩაუვლია,
საცაა ჩაიჩოქებს, თავთხელში წამოწვება...
შეჩერდი, მოასწარ, – დანაშაულია
მაგისი ყურების
არმოსწრება!

„შევრცხვებით!“

ჭიორის ჭალას
სასტუმრო სუფრა გაშლილა,
„შეხე, ბასილა!
მაგის ყურებით ვერ ვძღებით!“
სპასალარივით
მრევლს გადაჰყურებს ბასილა,
რაღაც არ მოსწონს,
მალ-მალე იტყვის: შევრცხვებით!“

შეშისმპობლები
„ოჰოს“ და „უჰუს“ ხვნეშიან,
გაჩქარებული
ცეცხლი ბრიალებს თონეზე...
ონიდან რეკენ:
„სტუმარი – უმაღლესია,
მაშასადამე,
სუფრაც – უმაღლეს დონეზე!“

მასპინძელია
გლოლა, ღები და ჭიორა,
საყოლიც ჰყავს და
ქვეც ხელს ჯიბეზე გაიკრავს;
ბრძანებს ბასილა:
„ჩემო მელქო და შიოლა,
საკლავს საკლავი
მიტომ ჰქვია, რომ დაიკლას!“

ჩამოატარეს
ქადა-ბაჭული ხონჩებით,
თონეს ჩაჰკირწეს
ერბო-კარაქის შეცხებით
აქეთ – ხბოუკა,
იქით – თითქვინა გოჭები –
ბასილა მაინც:
„შენ დამირჩიო
შევრცხვებით!“

„რატომ, ბასილა?!
დეკეულები დაიკლა!
კალმახს იჭერენ!
ლორის იხარშვის კანჭები!
გოჭები იწვის!
თონეულები ჩაიკრა!
რა გვჭირს ასეთი!“
მხრებს იჩეჩავენ კაცები.

ვინ, ვინ ჩასწვდება
ბასილას იჭვს და ხვაშიადს?!
ვის უთხრას, ლხინი
რომ არ პურ-ღვინით ლხინდება,
და რომ კარგ სუფრას,
კარგ გუნებას და ხასიათს
კაი ლომი და
კაი გამძღოლი სჭირდება!

ამოატარეს
ხიმშური თეთრა კასრებით,
შუშის ჭურჭელში
ჩამომზიურობს ჩქეფ-ჩქეფით, –

ჭიქით მოართვეს,
        რავარიაო, ასჩრებენ –
ბასილა მაინც:
        „კაია, მარა... შევრცხვებით!“

წამოექოჩრნენ
        ბელაშვილს თავი – კაცები:
„რა ხარ, რა გახდი?!
        სუფრა მთელ ვერსზე გაშლილა!
თამადა – გვყავხარ,
        აგერ გვიჩყვია ყანჩები,
შენ თუ შეგვარცხვენ! –
        სხვა ვერაფერი, ბასილა!...“

გადაეფინა
        შუქი ბასილა ბელაშვილს,
შეუთამაშდა
        ჩარბები – შავი მერცხლები:
„თქვენ გენაცვალათ
        თქვენი ბასილა ენაში –
აგრე თუ არი,
        აჩი ქვე რაღას შევრცხვებით!“

მოვა სექტემბერი, წვიმით და ტალახით

მოვა სექტემბერი,
წვიმით და ტალახით
და უცბად მოიწყენს პატარა ქალაქი.
        აღარც „დაჩნიკები“,
        აღარც ბაზრობები,
        აღარც ტურისტკები,
        აღარც გაცნობები!
აღარც ქოლგები და
აღარც „ფიატები“,
აღარც ბრკოლდები და
აღარც გვიანდები.
        ცვივა ხეივანში
        ჭრელჭრული ფურცლები.
        ქებაძის – ფანჯრები,
        არჩვაძის – ყურძნები...
პაწია სკვერები –
პროვინციულია...
ბულვარს რომ გადადის –
მგონი, ციურია!
        პაწია მოწყენილ
        ქალაქს რა სჯობია! –
        აქ ყველა გიცნობს და
        ყველა ნაცნობია!
და ყოველ საღამოს
(რა უნდა აკეთო!)
არც გაგემტყუნება, –
რესტორანს დახედო!

ან ძმაკაცს მიადგე, –
ძმობა – სიკეთეა, –
ვბაასობთ, ჭიქაზე
ხელი გვიკიდია;
გავყურებთ შოდას და
რიონის სანახებს,
ვთხრით ძნელადგასაძლის
სატახტო ქალაქებს;
და მყუდრო დღეები
დღეებს მიჰყვებიან, –
ტბაზე გაბაწრული
საწყალი იხვებია...
არის მოწყენაში
რაღაც სიტკბოება,
რაც ქვეყნის ზრიალში
აღარც იპოვება...
სად ვიყავ, სად ვიყავ,
სად ვიყავ აქამდის?!
„მშვიდობით“ თუ არა,
რად არ ვთქვი „ნახვამდის“.
რაჭაში, ლეჩხუმში,
სვანეთში, იმერეთში,
გვიან – სიბერეში,
გვიან – სიბერეში –
ოქტომბრის წვიმებით,
ნოემბრის ტალახით –
მიყვარს მოწყენილი
პატარა ქალაქი.

ქართულ გვარებზე

რაჭაში ვენახივით, გვარებიც გავაშენეთ,
მიყვარდა ბავშვობიდან ლამაზი გვარები,
უწერას მეტრეველი, გონა – ღებს გავაშელი,
ონს თუ სორს მინდელი და მეიდანს დგვარელი.

ახლა შენ კაი-კაი გვარები გასინჯე,
გვარს თვისას ყაბულობს ვაჟკაცი ყოველი,
მაგრამ რავარია, თუ ძმა ხარ არჩვაძე,
რაფრად ჟღერს, რაფრად ძგერს, თუ ძმა ხარ გლოველი.

მეშვილდიშვილები, რაჭაში განთქმულან
უყვარდა ქართლ-კახეთს მხედრული კომფორტი,
ჯოლბორდი ისრის მთლელს გვიქვიან ქართულად,
რავარი გვარია, თუ ძმა ხარ ჯოლბორდი.

ოცნება ბავშვური, გვარს ლამაზს ეტრფოდა
და ვწუხდი სიუხეს მე ჩემი გვარისას,
სანამ ყრმას აღერსით ილია მეტყოდა,
გვარს დაშნად, საქმე და სახელი აღესავს.

გულს ამოვიჭერი, საქმე და სახელი,
საქვეყნო სიკვდილი და საქვეყნო სამსახური
მას მერე მესმოდა, ამაყი ძახილი
და მელანდებოდა სამშობლოს გაზაფხული.

ილიას მოძღვრება, ხომ სულში ვაცხოვრე,
გვარს ესრეთ უფერულს და უცნობს ჩემამდე,
ხომ რაღაც ვუწამლე , ხომ რაღაც შევმატე,
ათასში ერთს მაინც, ხომ დავამახსოვრე.

რაჭაში ვენახივით, გვარებიც გავაშენეთ,
მიყვარდა ბავშვობიდან ლამაზი გვარები,
უწერას მეტრეველი, გონა – ღებს გავაშელი,
ონს თუ სორს მინდელი და მეიდანს დგვარელი.

ათასჯერ მიგასაკლავებენ,
ათასჯერ სამართებლით დაგკლავენ,
საჯაროდ მიგასაფლავებენ,
საჩქაროდ ფაციფუცით დაგფლავენ.

მწუხარედ გოროხებს დასწვდებიან,
წესი არისო და, მოგაყრიან,
აღაპშიც სუფრისთავს დასხდებიან
და ცრემლებს,
ყალბ ცრემლებს, მოგაღვრიან.

მაგრამ რის მკვდარი და რა ცხედარი, –
სამარხი ყლორტებით გაგიჭრია, –
გაიხედავენ და, რას ხედავენ:
ამაყად ფრთები გაგიშლია!

საკუთარ საფლავზე ამოსულხარ
და, რაკი საფლავში წოლილხარ,
უკორძო, უხინჯო გამოსულხარ,
კორდის ჭადარივით სწორი ხარ!

ზეცისკენ შუბივით წამახული,
მწარე ხარ, მაგრამ მოწყალეც ხარ,
ათასჯერ ღალატით დამარხული,
ათას მეერთედ ცოცხალი ხარ!

შენი ნაფოტისგან გამოთლილი
ეს ჩანგიც ჯიუტად ენამწარობს...
მურმან ლებანიძე მოგიკვდეს!
მურმან ლებანიძე გენაცვალოს!

ვიშვი, ვიყავ, ვიცხოვრე...

ვიშვი, ვიყავ, ვიცხოვრე,
იყვნენ მახსოვს წამები:
როგორც – თაფლის წვეთები,
არა – როგორც შხამები.

მაგრამ იმ ტკბილ წამებთან
ერთად იყვნენ ცუდებიც –
ბრაუნინგის ვაზნებად
საშიშარი წუთები.

ცხელ ნატყვიარს ვიფევდი,
პერანგს სისხლით ვალბობდი,
მაგრამ ტკივილს ვითმენდი
და ღიმილით ვამბობდი:

„დიდხანს, დიდხანს ეწამე,
მურმან, ჩემო ძამიე!
ეგ ტკბილი და ეგ მწარე
იყოს მრავალჟამიერ!“

ჩქარობო, ეითხრეს...

ჩქარობო, – მითხრეს,
ცხარობო, – მკადრეს,
სული წინ გისწრებს,
ბერდები, წახდი;
ხავერდოვანი
იყავი ადრე –
პირში მთქმელი და
პირქუში გახდი...

გახედე – ნამყოს!
გახედე – აწმყოს!
გახედე – მყობადს!
ჩასწვდი – საწადელს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

და თქვენთვის ჩქარობს
ოცნება წმინდა,
ვჩქარობ, არ დამრჩეს
მართლა ოცნებად.
მოუსწრებელის
მოსწრება მინდა
და მელანდება
სხვა საოცრება.

ვრჩები ერთგული
მე ჩემი ღმერთის –
ასე გამზარდეს!
ასე გამწალდეს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

ჰო, თორემ ჩემთვის
რა მეჩქარება,
რა თავში ვიხლი
მოგებას რამეს, –
უკვე დამქროლეს
ზამთრის ქარებმა, –
რა გაანათებს ამხელა ღამეს!

თქვენი დღეები
ქვეყნისას ერთვის!
ჩემი დღეები –
დაე, გამწარდეს!
მე მინდა თქვენთვის!
მე მინდა თქვენთვის
ეს მდელოები
მალე ამწვანდეს!

კაცური კაცის ცხოვრება...

კაცური კაცის ცხოვრება, –
            გზა, წიგნი სისხლით ნაფერი, –
ხელახლა აიწონება,
            ხელახლა –
                  სუყველაფერი!

მედროვის ყალბი დიდება, –
            მკვახედ და მკუხედ ნამღერი, –
ხელახლა გაიჩითება,
            ხელახლა –
                  სუყველაფერი!

გაზაფხულს წყალი დიდდება –
            იქნება მწუთხე ნაპირი!
იქნება ჯვარცმა, კირთება –
            ხელახლა წაიკითხება,
ხელახლა –
                  სუყველაფერი!